დანართი №6



სსიპ-ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლის ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმების შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები
თავმჯდომარე:
ნინო ვასაძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი
წევრი:
ელისაბედ ბუსხრიკიძე-ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი

ნაწილი I. შესავალი

<u>ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):</u>

☐ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დამატება

☐ მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გაზრდა

☐ იმავე მუნიციპალიტეტში ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მისამართის/ფართის ცვლილება

☒ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

☒ **გეგმიური**

☐ **არაგეგმიური**

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ-ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	209469314

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
ფაქტობრივი მისამართი	გლდანის რაიონი /გლდანის ხევი
საფოსტო ინდექსი	0178
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	https://skolebi.emis.ge/schools/22?schoolName
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	tbilisi59@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი (არსებობის შემთხვევაში)	0322682959

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

წარმოების საფუძველი (ბრძანების ნომერი და თარიღი)	2026 წლის 16 აპრილის MES 5 26 0000437936 ბრძანება
ვიზიტის თარიღი (არსებობის შემთხვევაში)	

VI. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

სსიპ განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2026 წლის 16 აპრილის MES 5 26 0000437936 ბრძანების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა განახორციელა სსიპ-ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლაში (ს/კ: 209469314) გეგმიური მონიტორინგი საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე დოკუმენტაციის შესწავლის გზით. ექსპერტთა მიერ შეფასდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის No99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ მე-5 მუხლის „ა" და "დ" პუნქტებით განსაზღვრული ავტორიზაციის სტანდარტებთან შესაბამისობა. ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია და სკოლის ვებ-გვერდზე განთავსებული ინფორმაცია. ექსპერტთა მიერ განხორციელდა დამატებითი დოკუმენტების გამოთხოვა, რაც უზრუნველყოფილი იქნა დაწესებულების მხრიდან.

VIII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

IX. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

დაწესებულებამ 2026 წლის 05 ივნისის MES 7 26 0000677455 კორესპოდენციით საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება №99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და მტკიცებულებები ხარვეზის აღმოფხვრის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ კონკრეტული ხარვეზის აღმოსაფხვრელად გამოყოფილ ვადაში სავსებით შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15^2 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე გათვალისწინებულ იქნა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და ექსპერტთა შეფასება შეიცვალა „მეტწილი შესაბამისობით“ შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

- ინდიკატორი N.1.2.1.2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს
- ინდიკატორი N1.2.2.2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით

ასევე წარმოდგენილ იქნა მტკიცებულებები, რომელიც გათვალისწინებულ იქნა ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის საფუძველზე და ექსპერტთა შეფასება „სრული შესაბამისობით“ შეიცვალა შემდეგ ხარვეზებთან მიმართებით:

- ინდიკატორი N1.1.1.3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით
- ინდიკატორი N4.1.2.1 სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

საბოლოო დასკვნის ჩამოყალიბებისას ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა)[1]

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N.1.2.1.2.	სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(28/05/2026-20/06/2026) უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად შემუშავება/რევიზირება და დამტკიცება.*
ინდიკატორი N1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების	*ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(28/05/2026-20/07/2026) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის*

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

	მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	*და შეფასების განხორციელება მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.*

V. რჩევები

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი N1.1.1.3.	სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით	*ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ დააზუსტოს მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-11 თავში მოცემული ჩანაწერი, უზრუნველყოს დოკუმენტის მე-9 და მე-11 თავების ურთიერთშესაბამისობა და მათი თანხვედრა პრაქტიკულ საქმიანობასთან.*
სტანდარტი N4	**სკოლის ფილოსოფია**	*რჩევა*
ინდიკატორი 4.2.1.3.	მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად	*ექსპერტთა რჩევაა, სისტემურად აწარმოოს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებების დოკუმენტირება (კონსულტაციების აღრიცხვა, ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმები, უკუკავშირის ფორმები, მშობლებთან შეხვედრების ოქმები და სხვა), რათა შესაძლებელი იყოს განხორციელებული ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოჩენა.*
ინდიკატორი 4.2.2.1.	კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის	*ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ გააძლიეროს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემური მომსახურება, მათ შორის პროფესიული ინფორმირების შეხვედრების, კარიერული კონსულტირების, პროფესიული ინტერესების კვლევისა და უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მიმართულებით.*

ინდიკატორი 4.2.3.1.	სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი	*ექსპერტთა რჩევაა, შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას.*

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ადმინისტრაციული წარმოების ფარგლებიდან გამომდინარე

1.1.1.4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ; - დაწესებულებამ წარმოადგინოს დეკლარირებული ღირებულებები, რითაც ხელმძღვანელობს სკოლა.

შესრულებულია.-დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების ამსახველი დოკუმენტი.

1.1.1.5 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი; -დაწესებულებამ წარმოადგინოს სკოლის ფილოსოფიის საჯაროობის და ხელმისაწვდომობის მტკიცებულება.

შესრულებულია.-დაწესებულებას მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებული აქვს სკოლის ვებგვერდზე, შესაბამისად დასტურდება დოკუმენტის საჯაროობა.

1.2.1.2 სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას და ა.შ. -დაწესებულებამ წარმოადგინოს მოქმედი შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმა და მისი დამტკიცების დოკუმენტები.

არ არის შესრულებული-დაწესებულებამ წარმოადგინა 7 წლიანი სტრატეგიული გეგმა თუმცა არ ახლავს დამტკიცების დოკუმენტები. არგუმენტირებული პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც გეგმავს სტრატეგიული განვითარების გეგმის განახლება/ რევიზირებას.

1.2.1.3 სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას; -დაწესებულებამ წარმოადგინოს უკვე დამტკიცებული სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი დოკუმენტები.

შესრულებულია-დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის N2 სხდომის ოქმით.

1.2.1.4 სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები და ა.შ.- დაწესებულებამ წარმოადგინოს სამოქმედო გეგმა და მისი დამტკიცების ამსახველი დოკუმენტები.

შესრულებულია-დაწესებულებამ წარმოადგინა 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია 2025 წლის 02 სექტემბრის N2 სხდომის ოქმით. სამოქმედო გეგმა შემუშავებულია ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტები)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ-ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს. მასში ასახულია თანამედროვე საგანმანათლებლო პოლიტიკის ძირითადი პრიორიტეტები და ორიენტირებულია უსაფრთხო, პოზიტიური, ინკლუზიური და განმავითარებელი გარემოს შექმნაზე, სადაც თითოეულ მოსწავლესა და პროფესიულ სტუდენტს ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების რეალიზებისა და წარმატების მიღწევის შესაძლებლობა. მისიასა და ხედვაში მკაფიოდ იკვეთება თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, კომპეტენტური და დამოუკიდებელი პიროვნების ჩამოყალიბების ხელშეწყობა, რომელიც შეძლებს სწრაფად ადაპტირებას თანამედროვე, მუდმივად ცვალებად და გლობალურ გარემოში, გამოავლენს ინიციატივას, აიღებს პასუხისმგებლობას საკუთარ გადაწყვეტილებებზე და აქტიურად ჩაერთვება ქვეყნის სოციალურ-ეკონომიკურ, სამეცნიერო და კულტურულ განვითარებაში. დოკუმენტი ასევე შეესაბამება ეროვნული მიზნების ისეთ მიმართულებებს, როგორიცაა ინკლუზიური და თანასწორი განათლების ხელშეწყობა, უწყვეტი სწავლების მხარდაჭერა, პროფესიული უნარების განვითარება, შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობა, დემოკრატიული და ჰარმონიული გარემოს შექმნა, ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების პატივისცემა. განსაკუთრებით აღსანიშნავია, რომ ხედვაში ხაზგასმულია ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი თავისუფალი პიროვნების აღზრდა, რაც სრულ თანხვედრაშია ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების ძირითად პრინციპებთან. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სსიპ-ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისია და ხედვა მკაფიოდ განსაზღვრავს დაწესებულების როლს, როგორც უსაფრთხო, მხარდამჭერი და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებული სოციო-კულტურული სივრცის. დოკუმენტში ხაზგასმულია პოზიტიური, განმავითარებელი და უსაფრთხო გარემოს შექმნის მნიშვნელობა, სადაც სასკოლო საზოგადოების თითოეულ წევრს - როგორც მოსწავლეს, ისე პროფესიულ სტუდენტს - ეძლევა საკუთარი შესაძლებლობების გამოვლენის, განვითარების და წარმატების მიღწევის თანაბარი შესაძლებლობა. მისია და ხედვა ორიენტირებულია ისეთი გარემოს ფორმირებაზე, რომელიც ხელს უწყობს თავისუფალი, პასუხისმგებლიანი, დამოუკიდებელი და კომპეტენტური პიროვნების ჩამოყალიბებას. ამასთან, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ინკლუზიური და თანასწორი საგანმანათლებლო გარემოს უზრუნველყოფას, უწყვეტი სწავლების მხარდაჭერასა და თანამედროვე საზოგადოებაში ადაპტაციისთვის საჭირო უნარების განვითარებას. დაწესებულების მნიშვნელოვან მიმართულებას წარმოადგენს მრავალფეროვანი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელება, რაც უზრუნველყოფს შრომის ბაზრის მოთხოვნებზე ორიენტირებული კადრების მომზადებას და პროფესიული განათლების ხელმისაწვდომობას. აღნიშნული კიდევ უფრო აძლიერებს სკოლის, როგორც საგანმანათლებლო და სოციო-კულტურული სივრცის, ფუნქციას და მის როლს საზოგადოების სოციალურ-ეკონომიკურ განვითარებაში. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. აღნიშნული დოკუმენტის მეცხრე თავი არეგულირებს მისიის, ხედვის და ღირებულებების შემუშავების პროცესთან დაკავშირებულ საკითხებს. სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება ხორციელდება დირექტორის მიერ შექმნილი სამუშაო ჯგუფის მიერ. ამავე დოკუმენტის მე-7 მუხლის თანახმად შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის დირექციისა და ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი და მშობელი. პროცესი მოიცავს პროექტების მომზადებას, მათ გაზიარებას სასკოლო საზოგადოებისა და თემისთვის, მიღებული უკუკავშირის განხილვასა და გათვალისწინებას, საბოლოო ვერსიის ფორმირებას და დირექტორთან შეთანხმების შემდეგ ვებგვერდზე გამოქვეყნებას. დაწესებულებამ წარმოადგინა მისიის, ხედვის და ღირებულებების გადამუშავების დამადასტურებელი მტკიცებულებები. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N1/კ-37 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის გავლაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“. პასუხისმგებელ პირებად გასაზღვრულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე,

საქმისმწაროებელი, ბუღალტერი და ერთი პედაგოგი. ბრძანებიდან არ იკითხება უშუალოდ რა სამუშაოები უნდა განეხორციელებინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირებს. ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავის თანახმად, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, რაც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ბრძანებაში. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი N 1, რომელშიც განხილულია მისიის, ხედვის და ღირებულებების ცვლილების პროექტი. დამატებით წარმოდგენილია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 ივნისის N14 ოქმი, რომლითაც დასტურდება მისიის, ხედვის და ღირებულებების პროექტის გახილვა შეთანხმება სამეურვეო საბჭოსთან. ამასთან ერთად დაწესებულებამ დამატებით მტკიცებულებებთან ერთად წარმოადგინა პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 12 ივნისის N7 ოქმი, რომელზეც ასევე გახილულ იქნა წარმოდგენილი დოკუმენტი და დამტკიცდა. მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-9 თავის მე-7 მუხლის თანახმად, მისია, ხედვა და ღირებულებები არ მტკიცდება, ხოლო მე-11 მუხლში, რომელიც ეხება მისიაში, ხედვასა და ღირებულებებში, სტრატეგიულ და სამოქმედო გეგმებში ცვლილებების შეტანას და გაზიარებას, აღნიშნულია რომ სამეურვეო საბჭოსთან ცვლილების შეთანხმების შემდგომ ხდება დოკუმენტების დამტკიცება (საჭიროების შემთხვევაში) და გაზიარება სასკოლო საზოგადოებისათვის. აღნიშნულ მუხლში არ ჩანს უშუალოდ ეხება თუ არა ეს ნაწილი მისიას, ხედვასა და ღირებულებებს.

ექსპერტებმა შეისწავლეს წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შესწავლის შედეგას დადგინდა, რომ დოკუმენტის პროექტი განხილული იყო სამეურვეო საბჭოსთან, რომლის შემადგენლობაშიც შედიან როგორც პედაგოგები, ისე მშობლები და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი. **თუმცა დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი", ვინაიდან დაწესებულებას არ წარმოუდგენია მისიის, ხედვისა და ღირებულებების გადამუშავების მიზნით, მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად შექმნილი სამუშაო ჯგუფის წევრთა შემადგენლობის განსაზღვრის დამადასტურებელი მტკიცებულება.**

<u>ექსპერტთა რჩევაა, დაწესებულებამ დააზუსტოს მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-11 თავში მოცემული ჩანაწერი, უზრუნველყოს დოკუმენტის მე-9 და მე-11 თავების ურთიერთშესაბამისობა და მათი თანხვედრა პრაქტიკულ საქმიანობასთან.</u>

დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ" მე-16 მუხლის მე-5

პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად 2026 წლის 05 ივნისის MES 7 26 0000677455 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ უზურნველყო ახალი მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-136 ბრძანებით. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა დაწესებულებისის ფილოსოფიის-მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების გეგმის რევიზია. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა სამუშაო ჯგუფის მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია-სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 29 მაისის N1 და 2026 წლის 04 ივნისის N2 ოქმები. სამუშაო ჯგუფმა დაწესებულების მისიის, ხედვის და ღირებულებების დოკუმმენტის განხილვის შედეგად მიიღო გადაწყვეტილება მისი უცვლელად დატოვების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-6 თავის თანახმად, სკოლის მისიის, ხედვის და ღირებულებების გაზიარება ხდება სასკოლო საზოგადოების მიერ მრავალფეროვანი საკომუნიკაციო არხების გამოყენებით. დოკუმენტში განსაზღვრულია როგორც ციფრული პლატფორმები (ვებგვერდი, ელექტრონული ფოსტა, დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემა, პორტალი, სოციალური მედია), ასევე არაციფრული ფორმები (საჯარო ღონისძიებები და ბეჭდვითი მასალები), რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის ხელმისაწვდომობასა და ფართო გავრცელებას. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი სამეურვეო და პედაგოგიური საბჭოს ოქმებიდან ჩანს, რომ დაწესებულებამ გააცნო დოკუმენტი სასკოლო საზოგადოებას. ამასთან, ექსპერტებმა შეისწავლეს სკოლის ვებგვერდი, სადაც ხელმისაწვდომია [მისია, ხედვა და ღირებულებები.](#) წარმოდგენილი დოკუმენტაციის, სკოლის ვებგვერდზე განთავსებული მასალის, ურთიერთშეჯერების საფუძველზე ექსპერტებმა დაადგინეს, რომ სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და

ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოკუმენტის საჯაროობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანებით სკოლის სახელწოდებად განსაზღვრულია: სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლა. შესაბამისად, სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, ღირებულებების დოკუმენტი;
- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N1/კ-37 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის გავლაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი N 1;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 12 ივნისის N14 ოქმი;
- პედაგოგიური საბჭოს 2025 წლის 12 ივნისის N7 ოქმი;
- საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებების საჯარო სამართლის იურიდიულ პირებად დაფუძნებისა და საჯარო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“ 2005 წლის 15 სექტემბრის N448 ბრძანება;
- სკოლის ვებგვერდი;
- არგუმენტირებული პოზიცია;

- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-136 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 29 მაისის N1 ოქმი;
- სამუშაო ჯგუფის 2026 წლის 04 ივნისის N2 ოქმი.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება
1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებულია მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. დოკუმენტის მეხუთე თავში განსაზღვრულია სტრატეგიული დაგეგმვის ძირითადი პრინციპები, მათ შორის თანამონაწილეობა, რაც გულისხმობს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესში სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სამუშაო ჯგუფების ფორმატით და დოკუმენტების პროექტების გაზიარებას დაინტერესებულ მხარეებთან. ასევე გათვალისწინებულია პრიორიტეტებისა და მოლოდინების ასახვა, რაც ხორციელდება დაგეგმვის თითოეული ციკლის დასაწყისში შესაბამისი ჯგუფების განსაზღვრით და

მათი ჩართულობის უზრუნველყოფით ან დოკუმენტების გაზიარებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

დაწესებულებამ წარმოადგინა 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა, რომელიც მოიცავს სტრატეგიულ მიმართულება(სტრატეგიულ მიზნებს). მიზნების შესაბამისად განსაზრულია ამოცანები, რომლებიც უზრუნველყოფს აღნიშნული მზინების მიღწევას. წარმოდგენილი დოკუმენტი მოიცავს 7 წლიან პერიოდს, ხოლო მიზნები ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვასა და ღირებულებებს. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს პირვანდელი დოკუმენტი, შესაბამისად, მონიტორინგის მიზნებისთვის განკუთვნილი დოკუმენტი წარმოადგენს აღნიშნული დოკუმენტის ცვლილებას, რადგანაც მასში დამატებულია პროფესიული განათლების განხორციელებასთან დაკავშირებული ამოცანა. ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულებამ წარმოადგინა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიისა (მისია, ხედვა და ღირებულებები) და სტრატეგიული გეგმის მოსამზადებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელების მიზნით შექმნილი სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი N 2, რომლითაც დასტურდება, რომ ჯგუფმა შეიმუშავა 2023-2030 წლების სტრატეგიული გეგმის ცვლილების პროექტი. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N1/კ-37 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის გავლაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“. პასუხისმგებელ პირებად გასაზღვრულია დირექტორი, დირექტორის მოადგილე, საქმისმწაროებელი, ბუღალტერი და ერთი პედაგოგი. ბრძანებიდან არ იკითხება უშუალოდ რა სამუშაოები უნდა განეხორციელებინა დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულ პირებს. ამასთან დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავის თანახმად, სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში უნდა შედიოდეს მშობელი და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენელი, რაც არ არის გათვალისწინებული წარმოდგენილ ბრძანებაში. ამასთან დაწესებულებას არ წარმოუდგენია რაიმე ტიპის მტკიცებულება, რომლითაც დადასტურდებოდა, რომ შემუშავების რომელიმე ეტაპზე ჩართული იყოს მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავით განსაზღვრული პირები. ექსპერტებმა დამატებითი დოკუმენტაციის მოთხოვნის ფორმით დაწესბულებიდან გამოითხოვეს სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების აქტი, რაც არ წარმოუდგენია დაწესებულებას. **თუმცა დასკვნის პროექტში ინდიკატორი შეფასდა როგორც „არ არის შესაბამისი”, ვინაიდან არ იყო წარმოდგენილი სტრატეგიული განვითარების გეგმის**

დამტკიცების/ცვლილების აქტი და მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავის თანახმად შემუშავების პროცესში მშობლის და მოსწავლეთა თვითმმართველობის წარმომადგენლის ჩართულობის დამადასტურებელი მტკიცებულება.

დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად 2026 წლის 05 ივნისის MES 7 26 0000677455 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ნაწილობრივ ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. ხარვეზის აღმოფხვრის მიზნით დაწესებულებამ უზურნველყო ახალი მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად, სამუშაო ჯგუფის ფორმირება, რომელიც დამტკიცდა სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-136 ბრძანებით. აღნიშნულ ჯგუფს დაევალა დაწესებულებისის ფილოსოფიის-მისიის, ხედვის და ღირებულებების და სტრატეგიული განვითარების გეგმის რევიზია. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს 28/05/2026-დან 20/06/2026 ჩათვლით პერიოდში ხარვეზის აღმოფხრის მიზნით დაგეგმილი აქტივოებების განხორციელებას. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა შესაბამისობის გეგმით გათვალისწინებულ ვადებში ხარვეზის აღმოფხვრის შესაძლებლობა და მიიჩნია, რომ აღნიშნულ ვადაში შესაძლებელია დაგეგმილი აქტივობების განხორციელება. **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(28/05/2026-20/06/2026) უზრუნველყოს სტრატეგიული განვითარების გეგმის მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად შემუშავება/რევიზირება და დამტკიცება.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-10 თავის თანახმად ხორციელდება სამოქმედო გეგმის შემუშავების პროცესი. დაწესებულებამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის 2025 წლის 05 სექტემბრის N1/კ-65 ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ. წარმოდგენილ ბრძანებაში სამუშაო ჯგუფი განსაზღვრულია მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-7 თავის შესაბამისად. დაწესებულების ვებგვერდზე ატვირთულია 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის N2 ოქმით. სკოლის ვებგვერდის შესწავლის შედეგად დგინდება, რომ დაწესებულებას აქვს სამოქმედო გეგმის შემუშავების პრაქტიკა და ვებგვერდზე ასევე განთავსებულია 2023-2024 წლების და 2024-2025 წლების სამოქმედო გეგმები. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. იგი ემთხვევა სასწავლო წელს, ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის N2 ოქმით დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- სკოლის დირექტორის 2025 წლის 04 ივნისის N1/კ-37 ბრძანება „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში ინტეგრირებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ავტორიზაციის გავლაზე პასუხისმგებელი პირების განსაზღვრის შესახებ“;
- სამუშაო ჯგუფის 2025 წლის 09 ივნისის სხდომის ოქმი N 2;
- 2023-2030 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა;

- სკოლის დირექტორის 2025 წლის 05 სექტემბრის N1/კ-65 ბრძანება ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმა;
- 2025-2026 წლის სამოქმედო გეგმა;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 02 სექტემბრის N2 ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- არგუმენტირებული პოზიცია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-136 ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ.

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 თავის მიხედვით, სამოქმედო გეგმების მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება წელიწადში ორჯერ (იანვარსა და ივნისში), საჭიროების შემთხვევაში კი შესაძლებელია არაგეგმიური მონიტორინგის ჩატარებაც. სტრატეგიული გეგმის მონიტორინგი მიმდინარეობს მისი მოქმედების პერიოდში ორჯერ - შუა ეტაპზე და დასრულებისას, რაც უზრუნველყოფს პროცესის მუდმივ კონტროლს. მეთოდოლოგია ასევე განსაზღვრავს მონიტორინგისა და შეფასების არსს: მონიტორინგი გულისხმობს მონაცემებისა და

მტკიცებულებების შეგროვებას, ხოლო შეფასება - მათი ანალიზის საფუძველზე შემდგომი რეაგირების საჭიროების განსაზღვრას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

როგორც დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით ირკვევა, დაწესებულებამ სტრატეგიული განვითარების გეგმა შეიმუშავა 2023 წელს, შესაბამისად შეფასების ვალდებულება, მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 თავის მიხედვით, დაუდგება შუალედურ პერიოდში ანუ 2027 წელს. ამავე თავის პირველი პუნქტით განსაზღვრულია, რომ სკოლა ახორციელებს სამოქმედო გეგმების მონიტორინგსა და შეფასებას წელიწადში ორჯერ - იანვარსა და ივნისში. ექპერტთა მიერ გამოთხოვილ იქნა გასული წლების სამოქმედო გეგმის ანგარიშები, თუმცა დაწეებულებას არ წარმოუდგენია აღნიშნული მტკიცებულებები. დაწესებულებას ვებგვერდზე ატვირთული აქვს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში შესაბამის ველში. ამასთან წარმოდგენილი აქვს სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი. დამატებით დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 ივნისის N16 ოქმი, რომლითაც დასტურდება, რომ მონიტორინგისა და შეფასების პროცესი წარიმართა სასკოლო საზოგადოების ჩართულობითა და უკუკავშირის გათვალისწინებით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებას არ წარმოუდგენია სამოქმედო გეგმის შუალედური ანგარიშები მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 თავის შესაბამისად.**

დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად 2026 წლის 05 ივნისის MES 7 26 0000677455 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულებები, კერძოდ, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“. აღნიშნული ბრძანებით ძალადაკარგულად გამოცხადდა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი. განახლებული მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-11 მუხლი არეგულირებს

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგთან დაკავშირებულ საკითხებს. აღნიშნული მუხლის თანახმად, სასწავლო წლის შემდეგ ახალი სასწავლო წლის დაწყებამდე სამოქმედო გეგმის შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები წარმოადგენენ ანგარიშებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ, ანგარიშებზე დაყრდნობით, სამეურვეო საბჭოს სხდომაზე შესაბამისი პირების ჩართულობით თითოეულ აქტივობას ენიჭება სტატუსი: „შესრულდა“, „ნაწილობრივ შესრულდა“, „არ შესრულდა“. დაწესებულებამ ასევე წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის თანახმადაც სკოლა გეგმავს 28/05/2026-დან 20/07/2026 ჩათვლით პერიოდში სამოქმედო გეგმის მონიტორინგის განხორციელებას ახალი მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად. ექსპერტთა ჯგუფმა გაანალიზა არსებული სიტუაცია და წარმოდგენილი დოკუმეტაცია და რადგანაც დაწესებულებას გააჩნია უფრო მეტი ძლიერი, ვიდრე სუსტი მხარე, რომელიც მნიშვნელოვნად არ აუარესებს დაწესებულების საქმიანობის ხარისხს. დაწესებულებაში არსებული რესურსები და დამკვიდრებული პრაქტიკა/სისტემა მეტწილად უზრუნველყოფს კომპონენტის მოთხოვნების დაკმაყოფილებას, კერძოდ წარმოდგენილი იყო სამოქმედო გეგმის შესრულების საბოლოო ანგარიშები, დაწესებულებას, სუსტი მხარეების დასაძლევად, მოკლევადიან პერიოდში (არაუმეტეს 12 თვისა), დასაძლევად აქვს მზაობა და რესურსებით უზრუნველყოფილი, სტანდარტებთან შესაბამისობის გეგმა, **ექსპერტთა მიერ ავტორიზაციის დებულების 15² მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე აღნიშნული ინდიკატორი შეფასდა როგორც მეტწილად შესაბამისი.**

ექსპერტთა მიერ გაცემული შესაბამისობის რეკომენდაციაა, დაწესებულებამ შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით დადგენილ ვადებში(28/05/2026-20/07/2026) უზრუნველყოს სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის და შეფასების განხორციელება მეთოდოლოგიური დოკუმენტის შესაბამისად.

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-6 თავის თანახმად, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის ანგარიშების საჯაროობისთვის დაწესებულება იყენებს სკოლის ვებგვერდს და ელექტრონული ფოსტას ან/და დოკუმენტების ელექტრონული ბრუნვის სისტემას ან/და სოციალური მედეას ან/და საჯარო ღონისძიებებსა ან/და ბეჭდვითი მასალებს. დაწესებულებას ვებგვერდზე განთავსებული აქვს 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში, ხოლო 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიშის გაზიარების მტიცცებულებად წარმოდგენილი აქვს

სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 ივნისის N16 ოქმი, რომელიც ატვირთულია სკოლის ვებგვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის 2023 წლის 29 აგვისტოს N2-168 ბრძანებით დამტკიცებული მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტის მე-12 თავის თანახმად, სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარების დაგეგმვის პროცესში.

მონიტორინგისა და შეფასების შედეგად მიღებული ინფორმაცია უზრუნველყოფს არსებული მდგომარეობის გაანალიზებას, მიღწევებისა და გამოწვევების იდენტიფიცირებას და ქმნის საფუძველს მომავალი გადაწყვეტილებების დასაგეგმად. გარდა ამისა, შედეგები გამოიყენება როგორც გეგმებში ცვლილებების შეტანის საფუძველი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- მისიის, ხედვის, ღირებულებების და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიური დოკუმენტი;
- 2023-2024 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის 2024-2025 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგის შედეგი;
- სამეურვეო საბჭოს 2025 წლის 15 ივნისის N16 ოქმი;
- სკოლის ვებგვერდი;
- არგუმენტირებული პოზიცია;
- შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა;
- სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N2-135 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ფილოსოფიის (მისიის, ხედვის, ღირებულებების) შემუშავების და სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია“.

შეფასება:

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეების უფლებებთან და კანონიერ ინტერესებთან დაკავშირებული პროცედურები გაწერილია სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულებაში, მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულ ხელშეკრულებებში, ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქციაში, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესსა და შინაგანაწესში, რომელიც განთავსებულია სკოლის ვებგვერდზე და ხელმისაწვდომია „ქცევის წესების და აპელაციის მექანიზმების“ განყოფილებაში. ამასთანავე, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში მოქმედებს “ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია“, რომელიც შემუშავებულია ოჯახში და მის გარეთ ბავშვის ძალადობის ყველა ფორმისაგან დაცვის მიზნით. დოკუმენტი არეგულირებს ბავშვზე ძალადობის შემთხვევაში, სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის ეფექტური და სწრაფი რეაგირების მექანიზმებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან. „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი“ განსაზღვრავს მოსწავლეთა სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის მექანიზმები და მათი განხორციელების პროცედურებს სკოლის მიერ, მისი მიზნებისა და საქმიანობის გათვალისწინებით, სასკოლო პროცესში პირველკლასელთა, მობილობის წესით გადმოსული მოსწავლეების ჩართულობასა და იმ მოსწავლეების ადაპტაციის პროცესის გამარტივებას, რომელთა სასკოლო ცხოვრებაში ჩართვას ართულებს ენობრივი ბარიერის არსებობა. სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს აცნობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებს. სკოლის შინაგანაწესის და ,,მოსწავლის ქცევის კოდექსის,“ უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების, ევაკუაციის გეგმის, საგანგებო სიტუაციების დროს სამოქმედო გეგმის სასკოლო საზოგადოებისათვის ხდება კლასის დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კლასის საათების და მშობელთა კრების ფარგლებში. ასევე, მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულების მე-8 მუხლი ეხება შინაგანაწესის გაცნობას, რომელიც დასტურდება ხელისმოწერით. კლასის დამრიგებლები სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეთა ჩართულობით შეიმუშავებენ მოსწავლეთა ქცევის წესებს, რომელიც გამოკრულია საკლასო ოთახებში. მოსწავლის ნებისმიერი დისციპლინური გადაცდომა დამრიგებლის დახმარებით ეცნობება მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს და სკოლის ადმინისტრაციას. სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია) შესაბამისობაშია მოქმედ კანონმდებლობასთან და მასში მკაფიოდაა გაწერილი: მხარეთა უფლება-მოვალეობები, მოსწავლის მშობლებთან კომუნიკაციის სტრატეგია, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან ურთიერთობის ფორმა და პრინციპები, მშობლის სკოლაში გამოცხადების წესი და საგანმანათლებლო-საინფორმაციო ხასიათის ღონისძიებები. დოკუმენტის თანახმად, მასწავლებელი ის შუალედური რგოლია, რომელიც სკოლას და ოჯახს ერთმანეთთან აკავშირებს. მას შეუძლია, კომუნიკაციის სხვადასხვა ხერხის გამოყენებით, მშობელი ჩართოს სასწავლო პროცესში და თავის მოკავშირედ აქციოს. „მოსწავლის ქცევის კოდექსი“ და „ბავშვთა უფლებების დაცვის კონვენცია“ ეცნობება სასკოლო საზოგადოებას კლასის დამრიგებლების მიერ სასწავლო წლის განმავლობაში ჩატარებული კლასის საათების და მშობელთა კრების ფარგლებში. წარმოდგენილი სხვა დოკუმენტების თანახმად, სკოლის მიერ განხორციელებული მოსწავლეების მიერ სტატუსის მოპოვების, შეჩერების და შეწყვეტის ქმედებები არ ეწინააღმდეგება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

მოსწავლის მშობელსა/მის კანონიერ წარმომადგენელსა და სკოლას შორის ფორმდება ხელშეკრულება, რომელიც არეგულირებს სკოლასა და ამავე სკოლის მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებს. ხელშეკრულება მოიცავს შემდეგ პუნქტებს: ხელშეკრულების თარიღს, ხელშეკრულების მხარეთა მონაცემებს, ხელშეკრულების საგანს, სკოლის საქმიანობას, მხარეთა უფლება-მოვალეობებს, ინფორმაციას მოსწავლეთა პერსონალური მონაცემების გამოყენების შესახებ, სასწავლო/დასვენების დროის, უქმე დღეების, ხელშეკრულების მოქმედების ვადის და შეწყვეტის წესს, ინფორმაციას დავების გადაწყვეტას და მისი მარეგულირებელი კანონმდებლობის შესახებ, დამატებით პირობებს, მხარეთა რეკვიზიტებს და ხელმოწერებს. სკოლის მიერ მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან გაფორმებული ხელშეკრულებები დადებულია მხარეთა თანასწორუფლებიანობის საფუძველზე ნების თავისუფალი გამოვლენის შედეგად და ეფუძნება მოქმედ კანონმდებლობას. ხელშეკრულებაში ნათლად და მკაფიოდაა გაწერილი მშობელთა და მოსწავლეთა უფლებები და მოვალეობები, აგრეთვე მოსწავლის ვალდებულებები. ამ ხელშეკრულების პირობებისა და მოთხოვნების შესაბამისად, ხელშეკრულების საგანია, ზოგადი განათლების მიღების მიზნით, სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის წარმოშობილ ურთიერთობებში, მოსწავლის უფლებების, ინტერესების დაცვისა და სასკოლო მიზნების მიღწევის ხელშეწყობა. კერძოდ, მოსწავლეს უფლება აქვს მიიღოს ხარისხიანი განათლება, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, საინფორმაციო საშუალებებით, ბიბლიოთეკით და სხვა სასწავლო და საგანმანათლებლო რესურსებით. ხელშეკრულების მიხედვით, სკოლა ვალდებულებას იღებს მიიღოს ყველა გონივრული ზომა სასკოლო დროს, აგრეთვე სკოლის ან მის მიმდებარე ტერიტორიაზე მოსწავლის უფლებებისა და თავისუფლებების ჯეროვანი დაცვის, დარღვევის თავიდან აცილების ან აღკვეთის მიზნით, უზრუნველყოს მოსწავლის ჯანმრთელობის დაცვისა და სრულყოფილი განვითარებისათვის სამედიცინო, მათ შორის, ფსიქოლოგიური დახმარების გაწევის შესაძლებლობა. ხელშეკრულებით განსაზღვრული ყველა პუნქტი არის მკაფიო, გამჭვირვალე და ემსახურება მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს. სკოლა უზრუნველყოს ხელშეკრულების გაზიარებას. სადამრიგებლო პროგრამის თანახმად, დამრიგებელი სასწავლო წლის დასაწყისში მოსწავლეებს და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს გააცნოს შემდეგი დოკუმენტაცია: სკოლის შინაგანაწესი; მოსწავლის ქცევის კოდექსი; გრიფირებული და დამხმარე სახელმძღვანელოების ნუსხა; სკოლაში არსებული მოსწავლეთა ზოგადი შეფასების სისტემა; ინფორმაცია სკოლაში დაგეგმილი სხვადასხვა აქტივობების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- შინაგანაწესი;
- მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულება 2025-26 სასწ. წ. ესგ-ის გათვალისწინებული ზოგადსაგანმანათლებლო მომსახურეობის გაწევის შესახებ სსიპ ქალაქ თბილისის 59-ე საჯარო სკოლის დირექტორსა და დაწყებითი სახფეხურის მოსწავლეთა მშობლებს შორის (1. ხელშეკრულება №141 გაფორმებული 24.11.2025 წ. მე-5 კლასის მოსწავლის მშობელათან შ. მჭედლიშვილთან; 2. ხელშეკრულება №19 გაფორმებული 16.04.2026 წ. I კლასის მოსწავლის მშობელათან ლ. ბარნაბიშვილთან);
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია);
- ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-408 (21.10.2016წ). ბავშვთა მიმართ ძალადობასთან დაკავშირებული სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის შიდა ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-351 (26.12.2025 წ.) „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის „ბავშვთა დაცვის მიმართვიანობის (რეფერირების) პროცედურების განხორციელებაზე უფლებამოსილი პირის განსაზღვრის შესახებ“ 2016 წლის 21 ნოემბრის N2-408 ბრძანებაში ცვლილებების შეტანის შესახებ.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

მოსწავლეთა ჩარიცხვა, საფეხურის დაძლევა, მობილობა, სტატუსის შეჩერება ან შეწყვეტა სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში ხორციელდება ქვეყანაში არსებული მოქმედი ზოგადი რეგულაციით, რომელიც დადგენილია საქართველოს განათლების და მეცნიერების სამინისტროს მიერ. საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2017 წლის N04/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების წესი“ განსაზღვრავს მოსწავლის ჩარიცხვის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებსა და პირობებს, ეროვნული

სასწავლო გეგმა განსაზღვრავს კლასისა და საფეხურის დაძლევის პირობებს. არსებული კანონმდებლობის შესაბამისად, ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილია კლასისა და საფეხურის დაძლევის მექანიზმები და სხვადასხვა ტიპის გამოცდების ჩატარების პროცედურები. სკოლას არ აქვს/არ წარმოუდგენია დოკუმენტი, რომელშიც ერთად არის თავმოყრილი და მკაფიოდ განმარტებული მოსწავლეთა მიღების, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, შეწყვეტისა და აღდგენის წესები და კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე მექანიზმები. თუმცა, სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვას, საფეხურის დაძლევას, მობილობას, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა არ არის დაკმაყოფილებული, რადგან დაწესებულებას არ წარმოუდგენია მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები.**

დაწესებულებამ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანება No99/ნ 2010 წლის 1 ოქტომბრის „საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის დებულებისა და საფასურის დამტკიცების შესახებ“ მე-16 მუხლის მე-5 პუნქტის და მე-15 მუხლის მე-10 პუნქტის თანახმად 2026 წლის 05 ივნისის MES 7 26 0000677455 კორესპოდენციით წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია და ხარვეზის აღმოფხვრის დამადასტურებელი მტკიცებულება, კერძოდ, სკოლის დირექტორის 2026 წლის 28 მაისის N-2-134 ბრძანებით დამტკიცებული „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა წარმოდგენილი მტკიცებულება, გაითვალისწინა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და **ინდიკატორი შეფასდა როგორც „სრულად შესაბამისი“.**

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

ექსპერტთა მიერ გადამოწმდა დირექტორის მიერ გამოცემული ბრძანებები, რითაც დასტურდება, რომ სკოლა იცავს კანონმდებლობით დადგენილ მექანიზმებს. მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესებს ახორციელებს კანონმდებლობის შესაბამისად, კერძოდ: „ზოგადი განათლების შესახებ” საქართველოს კანონის 43-ე მუხლის მე-2 პუნქტისა და საქართველოს განთლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებით N04/ნ (11/01/2017) დამტკიცებული ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლის ჩარიცხვისა და მოსწავლის სტატუსის შეჩერების

წესის” მე-4 მუხლის მე-2 პუნქტის შესაბამისად, ხოლო კლასისა და საფეხურის დაძლევის ბრძანება ეფუძნება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2016 წლის 18 მაისის N40/ნ ბრძანებით დამტკიცებული ,,ეროვნული სასწავლო გეგმის” 35-ე მუხლის მე-4 პუნქტს. მოსწავლეთა ჩარიცხვის დოკუმენტაციის გადამოწმებას ახორციელებს სკოლის საქმისმწარმოებელი. სკოლა ეტაპობრივად მიყვება აღნიშნული კანონის აღსრულებას: მოსწავლის მობილობის შესახებ მოსწავლის მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე იწყება საქმისწარმოება. დამრიგებლების დებულების თანახმად, კლასის დამრიგებლები ახორციელებენ მოსწავლეთა გაცდენების მონიტორინგს, 10/20/45 დღე უწყვეტად გაცდენის შემთხვევაში დამრიგებლის სამსახურეობრივი ბარათის საფუძველზე უნდა მიმართოს დირექტორს მოსწავლის სტატუსის შეჩერების /შეწყვეტის შესახებ. ზემოთქმულის გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ სკოლას იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერების, აღდგენისა და შეწყვეტის წესებს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლაში არსებულ საგანმანათლებლო მომსახურეობაზე ხელი მიუწვდება ყველა მოსწავლეს. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომია გამომდინარე იქიდან, რომ შინაგანაწესით განსაზღვრულ სკოლის შიდა პოლიტიკასა და მოსმახურების სახეებს, რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმითაა განსაზღვრული, სასწავლო წლის დასაწყისში აცნობენ მშობლებს და მოსწავლეებს კლასის დამრიგებლები, ხოლო მოსწავლის აკადემიური მოსწრებისა და მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია ხელმისაწვდომია პერსონალური მონაცემების დაცვით, კანონმდებლობის შესაბამისად. თვითონ სასკოლო სასწავლო გეგმა თანხმდება სამეურვეო საბჭოსთან და მტკიცდება პედსაბჭოზე. ამდენად, ინფორმაცია საჯაროა და ხელმისაწვდომია მასწავლებლებისთვის, სამეურვეო საბჭოს წევრი მშობლებისა და მოსწავლეთა თვითმმართველობის თავმჯდომარისთვის. ასევე სკოლას ვებგვერდზე ატვირთული აქვს სკოლის შინაგანაწესი, ინფორმაცია განხორციელებული პროექტის „პროექტი ფინანსური წიგნიერება“ შესახებ და პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების განხორციელების დებულება. შესაბამისად, უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის საჯაროობა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

რამდენადაც სკოლა და მისი პერსონალი ხელმძღვანელობს სკოლის შიდა მარეგულირებელ დოკუმენტებით, შესაბამისად სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია ფორმალური/არაფორმალური სასწავლო პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ, რომელიც დაკავშირებულია სკოლასთან მიმართებით მის ტერიტორიაზე და ინტერნეტ სივრცეშიც არის კანონმდებლობის შესაბამისი. სკოლის სახელით გავრცელებული ყველა ინფორმაცია ეყრდნობა ეთიკის, გამჭვირვალობის და არადისკრიმინაციულობის ძირითად პრინციპებს. სკოლა ფორმალურ/არაფორმალურ გარემოში განხორციელებული სასწავლო აქტივობებისა და პროექტების დროს ფოტოების გამოყენებისათვის ითანხმებს მშობლებს წერილობით, რაც განსაზღვრულია მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებული ხელშეკრულებაში სკოლაში არსებული კლუბების, სხვადასხვა პროგრამების შესახებ ინფორმაცია არის გაზიარებული სასკოლო საზოგადოებისათვის. სხვადასხვა აქტივობების და პროექტების, პროგრამების, კონკურსების შესახებ ინფორმაცია სასკოლო საზოგადოებას მიეწოდება კლასების დამრიგებლების დახმარებით, ონლაინ სივრცეში შექმნილი მშობელთა და მოსწავლეთა ჯგუფებში გაზიარებით. ასევე ინფორმაცია გამოქვეყნებულია სოციალურ ქსელსა(facebook) და სკოლის საინფორმაციო ვებგვერდზე. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-125 (08.07.2024 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა საბაზო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-350 (26.12.2025 წ.) „სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მე-10 კლასიდან მოსწავლის გ.უ-ს ამორიცხვის შესახებ“ ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-24 (23.02.2026 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლის ა. ზ.-ის სტატუსის აღდგენის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-26 (24.02.2026 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში მოსწავლის ქ.ყ.-ის ჩარიცხვის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-46 (30.03.2026 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლის ნ. ლ.-ის სტატუსის შეჩერების შესახებ;

- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დირექტორის ბრძანება № 2-52 (07.04.2026 წ.) სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლის საშუალო საფეხურის დაძლევის შესახებ;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მიმართვის ფორმა განცხადება პირველკლასელთა რეგისტრ. პროცესში;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ვებგვერდი;
- არგუმენტირებული პოზიცია;
- „სსიპ -ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, კლასიდან-კლასში გადაყვანის, სტატუსის შეჩერებისა ან/და შეწყვეტის, მობილობისა და უცხოეთში მიღებული განათლების აღიარების საფუძველზე მოსწავლის ჩარიცხვის წესი“.

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სკოლას შექმნილი აქვს და მოქმედებს დირექტორის 11.09.2023 წ. ბრძანება N 1/კ-62-ით დამტკიცებული სსიპ-ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი, რომლის თანახმად, სკოლა ხელს უწყობს ყველა მოსწავლეს სასწავლო

გარემოსთან ადაპტაციის პერიოდში. ადაპტაციაში დახმარება ხდება ყველა ახალი მოსწავლის, მაგ., მობილობით გადმოსულ მოსწავლეს დამრიგებელი აცნობს სასკოლო გარემოს, საკლასო სივრცეს. დამრიგებელი მას წარუდგენს კლასს მას შემდეგ, რაც გაესაუბრება მოსწავლეს და გამოავლენს მის ინტერესებს, შემდეგ კი დაკვირვებას აწარმოებს კლასის მიერ მიმღებლობაზე. ასევე, სსსმ მოსწავლეები ეცნობიან სპეციალურ მასწავლებელსაც, დირექციის დახმარებით ეცნობიან სკოლის გარემოს: საკლასო ოთახს, რესურს ოთახს, სკოლაში არსებულ სველ წერტილებს. სსსმ მოსწავლეების თანაკლასელების ინფორმირების მიზნით, ცნობიერების ასამაღლებლად უნდა ჩატარდეს შეხვედრა და მოსწავლეებს მიეწოდოთ ინფორმაცია განსხვავებული შესაძლებლობების ადამიანების შესახებ. ინკლუზიური განათლების სპეციალისტებმა მშობელს უნდა გაუწიონ კონსულტაცია მთელი სასწავლო წლის განმავლობაში. სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულებით (14.09.2022 წ. ბრძანება N1/კ-72) ახალი მოსწავლის სკოლის გარემოსთან ადაპტაციის პროცესში ჩართულია კლასის დამრიგებელი, რომელიც მოსწავლეს აცნობს სასკოლო გარემოს, აწვდის ინფორმაციას ამ გარემოში სხვადასხვა სივრცის შესახებ, აცნობს შინაგანაწესს, სკოლის მიერ შერჩეულ სახელმძღვანელოებს და ესაუბრება მის ფუნქცია-მოვალეობებსა და უფლებებზე. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს. სკოლამ წარმოადგინა ადაპტაციის წესის ამსახველი დოკუმენტი, რომელშიც დეტალურად და მკაფიოდ არის გაწერილი: მოსწავლის სასკოლო ცხოვრებაში ადაპტაციის პრინციპები და მნიშვნელოვანი ფაქტორები; პირველკლასელთა ადაპტაცია, სსსმ მოსწავლეთა ადაპტაცია, მობილობით გადმოსული მოსწავლის ადაპტაცია, საბაზო/საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ადაპტაცია, მოსწავლეთა მიღება, სწავლის დაწყების პირველი დღე, წარმატებული ადაპტაციის ნიშნები, რეკომენდაციები მოსწავლის წარმატებული ადაპტაციისას, დეზადაპტაციის ნიშნები, დეზადაპტაციის პროცესისას განსახორციელებელი ღონისძიებები, წინამდებარე დოკუმენტის დასკვნითი დებულებები და საზოგადოებისთვის გაცნობის პირობები. თუმცა, სასკოლო პრაქტიკაში გატარებული ღონისძიებების და ახალი მოსწავლის სკოლაში ადაპტაციის გავლის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან**

წარმოდგენილი დოკუმენტების შესწავლით გამოიკვეთა, რომ სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ცდილობს და ხელს უწყობს მოსწავლის სკოლის სასწავლო გარემოსთან ადაპტირებას. ახალი მოსწავლეს პირველივე გაკვეთილზე (ან დასვენებაზე) დამრიგებელი აძლევს საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას. სადამრიგებლო პროგრამაში გაწერილი აქტივობები ხელს უწყობს მოსწავლეთა სწრაფად ადაპტირებას და აკეთებს შესაძლო სირთულეების პრევენციას.

სპეცმასწავლებლები საჭირო მომსახურებას უწევენ სსსმ მოსწავლეებს და საგნების მასწავლებლებსა და მშობელთან ერთად კოორდინირებულად მუშაობენ მოსწავლეების აკადემიური, შემეცნებითი, ფუნქციური, სოციალური უნარების განვითარებაზე. სსსმ მოსწავლეებიც თავისუფლად გადაადგილდებიან საკლასო ოთახებშიც და დერეფნებშიც. დამრიგებლები სადამრიგებლო კლასის მოსწავლეებთან მუშაობას აწარმოებენ ინკლუზიური და ტოლერანტული დამოკიდებულებების ჩამოყალიბებისათვის კლასის საათებზე. ატარებენ საუბრებს ინდივიდუალურადაც. მშობლების აქტიური ჩართულობით ატარებენ სხვადასხვა ღონისძიებებს და ხელს უწყობენ მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად**

როგორც სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულების ნაწილში არის მითითებული და სკოლის მიერ წარმოდგენილი სხვა დოკუმენტებით ირკვევა, სკოლა ცდილობს ხელი შეუწყოს მოსწავლეებს აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაში. მხარდაჭერის მიზნით, სკოლის მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, აკადემიური მიღწევის გასაუმჯობესებლად მიიღონ დამატებითი კონსულტაცია. თითოეულ მოსწავლეს აქვს შესაძლებლობა ისარგებლოს სწავლის უსაფრთხო პირობებით, მიიღოს ხარისხიანი განათლება, სასწავლო პროგრამისა და კარიერული განვითარებისთვის საჭირო ინფორმაცია/კონსულტაცია, ისარგებლოს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზით, ბიბლიოთეკით, ინტერნეტითა და სხვა საშუალებებით. თითოეული საგნის მასწავლებელმა ყოველი სემესტრის ბოლოს უნდა შეაფასოს მოსწავლეები განმავითარებელი შეფასებებით და შეიტანოს იგი ელექტრონულ ჟურნალში ბოლო საგაკვეთილო დღეს. სასწავლო პროცესში გამოყენებული უნდა იყოს განმავითარებელი შეფასების სხვადასხვა ინსტრუმენტები: თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, მასწავლებლის ზეპირი თუ წერილობითი უკუკავშირი. რომელიც დაეხმარება მოსწავლეებს სწავლაში და შედეგების გაუმჯობესებაში. საგნის მასწავლებლები მუდმივად უნდა აწარმოებენ მოსწავლეთა კონსულტირებას საჭიროებიდან გამომდინარე. მოსწავლეებმა უნდა მიიღონ განმავითარებელი უკუკავშირი და საჭირო ინტერვენცია. მშობელი და მოსწავლე უნდა იყვნენ ინფორმირებული მოსწავლის ძლიერ და გასაუმჯობესებელ მხარეებზე. დაბალი აკადემიური მოსწრების შემთხვევაში საგნის მასწავლებლები და დამრიგებლები უნდა შეხვდნენ მშობლებს, მიაწოდონ ინფორმაცია მოსწავლის აკადემიური მდგომარეობის შესახებ და ერთობლივად დაგეგმონ გადაჭრის გზები. ასევე მასწავლებლებმა უნდა გაუწიონ მოსწავლეებს სათანადო კონსულტირება წლიური და საშემოდგომო გამოცდის წინ, რაც დადებითად აისახება მოსწავლეების შედეგებზე. სკოლაში სსსმ მოსწავლის აკადემიური მიღწევებისა და კოგნიტური უნარეების გაუმჯობესების მხარდაჭერის მიზნით, რესურს ოთახში სპეციალური მასწავლებელებმა უნდა იმუშავონ წინასწარ განსაზღვრული გეგმის შესაბამისად.

სკოლის ადმინისტრაციის მიერ წარმოდგენილი ნორმატიული დოკუმენტები გვაფიქრებინებს, რომ სკოლის მასწავლებლები და დირექცია ჩართულები არიან ყველა იმ აქტივობაში, რაც დაკავშირებულია მოსწავლეთა მხარდაჭერასთან და საჭიროებისამებრ აძლევენ განმავითარებელ უკუკავშირს. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ექსპერტთა რჩევაა, სისტემურად აწარმოოს მოსწავლეთა აკადემიური მხარდაჭერის ღონისძიებების დოკუმენტირება (კონსულტაციების აღრიცხვა, ინდივიდუალური მხარდაჭერის გეგმები, უკუკავშირის ფორმები, მშობლებთან შეხვედრების ოქმები და სხვა), რათა შესაძლებელი იყოს განხორციელებული ინტერვენციების ეფექტიანობის შეფასება და მტკიცებულებებზე დაფუძნებული პრაქტიკის წარმოჩენა.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;**

როგორც სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლაში მოქმედი რეგულაციები (დამრიგებლის მუშაობის დებულება, მშობელთან ურთიერთობის დებულება (კომუნიკაციის სტრატეგია), მოსწავლეთა ადაპტაციის წესი) და ნორმატიული აქტებიის შესწავლა აჩვენებს, სასწავლო წლის დასაწყისში დამრიგებლები კრებებზე მოსწავლის მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს უნდა უზიარებდნენ სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრულ რეგულაციებს მოსწავლეების შეფასების, შემაჯამებელი დავალებების, შემაჯამებელი დავალების აღდგენის, სემესტრული, საშემოდგომო და ექსტერნის წესით გამოცდების შესახებ. ასევე აცნობდნენ შინაგანაწესით განსაზღვრულ უფლებებსა და მოვალეობებს, რასაც პრაქტიკა დაადასტურებს, რომ მაგალითად, მოსწავლის მშობლის მიერ მოთხოვნილი განცხადებების საფუძველზე, ხდება დროული რეაგირება.წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება, რომ სკოლას დროულად აქვს ნაწარმოები საფეხურის დაძლევის, სტატუსის შეჩერების პროცედურები. დაწესებულებამ წარმოადგინა კანონიერი წარმომადგენლის განცხადება სტატუსის შეჩერების შესახებ, რომელზეც რეაგირება განხორციელებული აქვს კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ასევე სკოლას მშობელთან გაგზავნილი აქვს 2025 წლის 07 მარტის MES 9 25 0000224090 კორესპოდენცია- შეტყობინება სტატუსის შეჩერების შესახებ. სკოლის მიერ წარმოდგენილი მტკიცებულებები ადასტურებს, რომ სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სკოლა უზრუნველყოფს დამატებითი და არაფორმალური აქტივობების ორგანიზებასა და განვითარებას მოქმედი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად. აღნიშნული პროცესის ეფექტიან განხორციელებას ხელს უწყობს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პერსონალი, რომელიც აქტიურად არის ჩართული მოსწავლეთა ინტერესებზე მორგებული აქტივობების დაგეგმვასა და მხარდაჭერაში. სკოლაში წახალისებულია მოსწავლეთა ინიციატივები, რაც გამოიხატება სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურული, სპორტული და შემოქმედებითი პროექტების განხორციელებაში, რაც დასტურდება სკოლის სოციალურ ქსელში განათვსებული ინფორმაციით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სკოლა აგროვებს მოსწავლეთა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირს სხვადასხვა მექანიზმის საშუალებით, მათ შორის - გამოკითხვების, შეხვედრების, ინტერვიუებისა და კომუნიკაციის სხვა ფორმების გამოყენებით. მიღებული ინფორმაცია გამოიყენება სასკოლო მომსახურების ხარისხის შეფასებისა და გაუმჯობესების მიზნით. უკუკავშირის ანალიზის საფუძველზე სკოლა ახორციელებს შესაბამის ცვლილებებსა და გაუმჯობესებებს როგორც სასწავლო, ისე მხარდამჭერი მომსახურებების მიმართულებით. დაწესებულებამ წარმოადგინა გამოკითხვის ფორმები, რომლითაც დასტურდება რომ გამოკითხაში მონაწილოება მიიღოეს სკოლის თანამშრომლებმა, მოსწავლეებმა და მოსწავლეთა მშობლებმა. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სსიპ-ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის მოსწავლეთა ადაპტაციის წესი;
- სსიპ ქალაქ თბილისის N59 საჯარო სკოლის დამრიგებლის მუშაობის დებულება;
- მშობელთან ურთიერთობის დებულება;
- 2025 წლის 07 მარტის MES 9 25 0000224090 კორესპოდენცია;
- გამოკითხვის ფორმები;
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი;

- სკოლის ვებგვერდი.

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, მიიღონ ინფორმაცია პროფესიული და უმაღლესი განათლების შესაძლებლობების, შრომის ბაზრის მოთხოვნებისა და კარიერული განვითარების გზების შესახებ. სკოლა ასევე ხელს უწყობს სხვადასხვა შეხვედრების, ტრენინგების, პროფესიული ორიენტაციის ღონისძიებებისა და პრაქტიკული აქტივობების ორგანიზებას, რაც მოსწავლეებს ეხმარება ინფორმირებული არჩევანის გაკეთებასა და მომავალი პროფესიული განვითარების დაგეგმვაში, რაც დასტრუდება სკოლის სოციალური ქსელით. დაწესებულება ასევე თავად ახორციელებს პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამას, რის შესახებაც ინფორმაციის მიწოდება დასტურდება სკოლის სოციალური ქსელით. დამატებით დაწესებულებას გაფორმებული აქვს თანამშრომლობის მემორანდუმები თბილისის სახელმწიფო უნივერსისტეტთან და გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან. აღნიშნული მიმართულებით ცალკეული აქტივობები იკვეთება, თუმცა არ არის წარმოდგენილი მომსახურების სისტემური დაგეგმვისა და შეფასების მექანიზმები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტთა რჩევაა, სკოლამ გააძლიეროს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის სისტემური მომსახურება, მათ შორის პროფესიული ინფორმირების შეხვედრების, კარიერული კონსულტირების, პროფესიული ინტერესების კვლევისა და უმაღლეს/პროფესიულ საგანმანათლებლო დაწესებულებებთან თანამშრომლობის მიმართულებით.</u>

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და მათი კანონიერი წარმომადგენლებისთვის განახლებული და სანდო ინფორმაციის მიწოდებას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობების შესახებ. აღნიშნული ინფორმაციის გავრცელება ხორციელდება სხვადასხვა საკომუნიკაციო არხის გამოყენებით, მათ შორის -სოციალური ქსელების საშუალებით, რითაც დასტურდება რომ სკოლამ მოსწავლეებსა და მშობლებს მიაწოდა ინფორმაცია პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების, მიღების პირობების, პროფესიული მიმართულებებისა და დასაქმების შესაძლებლობების შესახებ. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს და მიღებულ ინფორმაციას იყენებს განვითარების საჭიროებების გამოსავლენად. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით, მათ შორის - მოსწავლეთა, მშობლებისა და სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის საფუძველზე. გასული 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშით დასტრუდება, რომ სკოლამ ჩაატარა მშობელთა კმაყოფილების კვლევა, რომელიც მიზნად ისახავდა შედეგების გათვალისწინებით, სასწავლო პროცესის დახვეწა/გაუმჯობესებას. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- გლდანის პროფესიული მომზადების ცენტრთან გაფორმებული მემორანდუმი;
- თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან გაფორმებული მემორანდუმი;
- 2024-2025 წლის სამოქმედო გეგმის ანგარიში;
- სკოლის სოციალური გვერდი.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ - ქალაქ თბილისის N 59 საჯარო სკოლის ვებგვერდზე განთავსებულია სასკოლოო სასწავლო გეგმა, სადაც განსაზღვრულია სსსმ პირთათვის საგანმანათლებლო სერვისებით მიწოდების რეგულაცია. სკოლას შემუშავებული აქვს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე (სსსმ) მოსწავლეებთან მუშაობის მექანიზმი, რომელიც ეფუძნება ინკლუზიური განათლების პრინციპებსა და მოქმედ კანონმდებლობას. სკოლა უზრუნველყოფს ყველა მოსწავლისთვის თანაბრად ხელმისაწვდომ საგანმანათლებლო გარემოს შექმნას მათი ინდივიდუალური საჭიროებებისა და შესაძლებლობების გათვალისწინებით.

სკოლაში განსაზღვრულია სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცედურები, მათ შორის - მულტიდისციპლინური გუნდის რეკომენდაციების საფუძველზე ინდივიდუალური სასწავლო გეგმების (ისგ) შემუშავება კანონმდებლობით დადგენილ ვადებში. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები ითვალისწინებს მოსწავლის საგანმანათლებლო საჭიროებებს, სწავლების სტრატეგიებს, დამატებით აქტივობებს, შეფასების მიდგომებსა და საჭირო რესურსებს.

რეგულაციის თანახმად, სკოლა სსსმ მოსწავლეებისთვის უზრუნველყოფს ადაპტირებულ სასწავლო გარემოსა და მხარდაჭერის მექანიზმებს. საჭიროების შესაბამისად გამოიყენება ალტერნატიული აქტივობები, დამატებითი ინდივიდუალური თუ ჯგუფური მეცადინეობები, ვიზუალური და ტექნოლოგიური რესურსები, სოციალური უნარების განვითარების მხარდამჭერი აქტივობები და კომპიუტერული ტექნოლოგიები. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

<u>ექსპერტთა რჩევაა, შეიმუშაოს ინკლუზიური განათლების წლიური სამოქმედო გეგმა, რომელშიც მკაფიოდ განისაზღვრება აქტივობები, პასუხისმგებელი პირები, ვადები, მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმები, რაც უზრუნველყოფს სსსმ მოსწავლეთა მხარდაჭერის პროცესის სისტემურ და თანმიმდევრულ განხორციელებას.</u>

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

როგორც სასკოლო სასწავლო გეგმით დასტურდება სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა სკოლაში ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს. სკოლა უზრუნველყოფს

მასწავლებლების, მშობლების, ადმინისტრაციისა და საჭიროების შემთხვევაში მულტიდისციპლინური გუნდის კოორდინირებულ თანამშრომლობას, რაც ხელს უწყობს მოსწავლის ინდივიდუალური საჭიროებების ეფექტიანად გათვალისწინებასა და მხარდაჭერის პროცესის სწორად წარმართვას.
სსსმ მოსწავლეთა სწავლებისა და განვითარების პროცესში აქტიურად არიან ჩართული საგნის მასწავლებლები, რომლებიც ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შესაბამისად გეგმავენ სასწავლო აქტივობებს, იყენებენ ადაპტირებულ და ალტერნატიულ მეთოდებს, დამატებით რესურსებსა და შეფასების ინდივიდუალურ მიდგომებს. საჭიროებისამებრ ხორციელდება დამატებითი ინდივიდუალური და ჯგუფური მეცადინეობებიც. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- სასკოლო სასწავლო გეგმა.

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

დაწესებულების მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციით, ასევე სკოლის ვებგვერდის შესწავლის შედეგად დგინდება რომ სკოლა არ ახორციეელებს დამატებით არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას. თუმცა დაწესებულებას იჯარის ფორმით დროებით სარგებლობაში აქვს გადაცემული ფართები: ქართული ცეკვების და სამეჯლისო ცეკვების ფუნქციონირებისთვის, დაწესებულებამ წარმოადგინა მტკიცებულებები, რითაც დასტურდება რომ საქმიანობა მარეგულირებლის მხრიდან

საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე ხორციელდება. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია. თუმცა, სკოლას აქვს მზაობა დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება გაწიოს ნებაყოფლობის პრინციპით, სამეურვეო საბჭოსთან შეთანხმებით და კანონმდებლობით განსაზღვრული წესების დაცვით. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

როგორც სკოლის მიერ წარმოდგენილი სამოქმედო გეგმის შესრულების ანგარიშებით დგინდება, სკოლა მუდმივად ზრუნავს უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფაზე და ამ მიზნით დაგეგმილი აქტივოებების უმრავლეესობა შესრულებულია. შესაბამისად, სკოლის მიერ არ არის წარმოდგენილი მოსწავლეებისთვის შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების განხორციელების დამადასტურებელი დოკუმენტაცია, თუმცა დაწესებულებას აქვს მზაობა ინდიკატორის მოთხოვნის შესაბამისად წარმართოს აღნიშნული პროცესი. **ექსპერტთა შეფასებით, ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

დასტურდება (მტკიცებულებები):

- იჯარის ხელშეკრულებები;
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ანგარიშები;
- მარეგულირებლის თანხმობის წერილები.

შეფასება:

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

12.06.2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: